№ 142

პარასკევი, 7 ივლისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 142

პარასკევი, 7 ივლისი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 70 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 55 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი№ 227

## ვ ა ი ს რ უ ლ ო ბ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვემართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

სახაფხულო თეატრი (პუშკინისეული).

2 ივლისს დანიშნული წარმოდგენა

## ქოროღლი

და

## ბაჭაჭი შკაფში

გადაიდვა 9 ივლისისათვის.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის საურთიერთო სასოფლო კრედიტის საზოგადოების შენობის კურთხევა დანიშნულია ამ ივლისის 16-ისათვის.

*** რკინის გზის სადგურ მარელისსა და ბელაგორს შუა მატარებლების მიმოსვლა დაიწყო.

*** რედაქციამ მიიღო ვიქტორ ჰუგოს ლექსების კრებული, ნაწილი IV, თარგმანი რუსის მწერლებისაგან ი. ფ. ტხორჟევსკის რედაქციით.

*** როგორც გაზ. „ნოვოსტი"-ს შეუტყვია, ფინანსთა მინისტრი ს. იუ. ვიტტე შემოდგომას საქართველოში გაატარებს, ბორჯომში.

*** ზუგდიდიდგან ატყობინებენ გაზეთ „კავკაზ"-ს, რომ 4 ივლისს ზუგდიდის ბოქაულს დგებუაძეს, დღისით, მოუკლავს ყაჩაღად გავარდნილი თავადის დათა ანჩაბაძის მკვლელი ნიკო კვარაცხელია.

*** გუშინდამ ბ. პეტიპას დასმა წარმოადგინა გოგოლის უკვდავი კომედია „რევიზორი". დიდი შეცდომა არის ამ დასისაგან რევიზორის წარმოდგენა. თვით პეტიპას გარდა, რომელიც ხლესტაკოვის როლს ძალიან კარგად თამაშობდა—ყველანი მეტად სუსტობდნენ. საზოგადოება თითქოს გრძნობდა ამას და ნაკლებათაც დაესწრო.

*** ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ ახალი შენობა სასამართლოებისათვის მალე აშენდებაო. ადგილი კიდევაც აირჩიეს და სამწუხარო ის არის, რომ ეს ადგილი ძალიან დაშორებული არის ქალაქზეო. ქალაქის საბჭოშიაც იყო ამაზედ სჯა და ყველამ დაინახა ამ არჩეულ ადგილის მოუხერხებლობა. ისედაც საჩივრებისაგან გაღარიბებულს ხალხს მომეტებული ხარჯი მოუვა ამ სიშორის გამო.

—◆◆—

## დამაკვირდი

—

სითამამე კარგიც არის და ცუდიც: კარგი ქალთან, ცუდი ცეცხლთან.

**

საწამლავად იხმარე: ქალის გული, ადვოკატის ენა, უფროსის ღიმილი.

**

სულელი კაცი თუ არ აქე, უღმერთობას დაგწამებს.

თრაზიბულ.

—◆◆—

## აბისინიის მეფე და დედოფალი.

—

მეფე აბისინიისა ამ ჟამად 62 წლისაა; იგი ნამდვილი ქრისტიანია და მფარველი მართლ-მადიდებლობისა. მეფე დიდის გონების პატრონია, ცნობის მოყვარე და სჯერა, რომ მისს სამშობლოს ნამდვილს სიკეთეს ცივილიზაცია მოუტანს. სასახლეში აქვს მუზეუმი, რომელშიც შეუკრებია მეფეს ევროპიელებისაგან ნაჩუქარი ყველა საგნები: ფოტოგრაფიული აპპარატები, გეოდეზიული და ასტრონომიული იარაღი, საუკეთესო სამხარ იარაღის ნიმუშები და ტელეფონი. იქამდის ცნობის მოყვარეა მეფე, რომ არც ერთს ნივთს არ და'ტოვებს, რომ დაწვრილებით არ გაარჩიოს და შეისწავლოს. ასე მაგ. მისს მცირე-წლოვანს შვილს რუსეთის ექსპედიციის წევრთ თურმე ბუნდოვან სურათების მაჩვენებელი ფარანი აჩუქეს: მეფემ იმ დღესვე თურმე ისწავლა, როგორ უნდა ეჩვენებინა ეს სურათები. მეფე ჯარს ომის დროს თითონ ჰსარდლობს, უყვარს ძალიან სხვილი ნადირი და რამდენიმე ლომი და ვეფხვიცა ჰყავს მოშინაურებული. ცოლად მეფეს ცნობილი სამეფო გვარისს პრინცესა ჰყავს—ცეგაიტა. დედოფალი 36 წლისაა და შესანიშნავი ჯანმრთელია. იგი არის მტკიცე ხასიათისა და დიდი გავლენაცა აქვს ქმარზედ. დიდად მოყვარულია სარწმუნოებისა და სასულიერო წოდებას და ბერებს მფარველობას უწევს; ჰყავს თავისი საკუთარი მხედრობა და მის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან ყველა საქველ-მოქმედო, საკაცთ-მოყვარო დაწესებულებანი. მშვენიერი სასახლე აქვთ, მრავალი ამალა; სასახლეს ორი კოშკი აქვს ამართული და ერთს ამათზედ საათიც არის გამოკიდული შიგნიდგანაც მდიდრულადა და მშვენიერად არის მოწყობილი სასახლე ორი როიალი უდგათ.

—◆◆—

## რუსეთის ცხოვრება.

—

უმაღლესად გამოცხადდა, რომ დიდს მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულს მიეცა ქალიშვილი, რომელსაც სახელად უწოდეს ირინე. ახლად დაბადებულს უმაღლესობის ტიტული ებოძა.

—

მომავალ სამოსწავლო წლიდგან ფინლიანდიის საზღვაო სასწავლებლებში შემოღებული იქნება რუსულის ენის სწავლება.

—

# ფელეტონი

—

## კაპიტალიზმის ბედი ზოგიერთს ქვეყნებში.

ვუძღვნი ჩვენს მარქსისტებს.

ჩვენს ლიტერატურაში ერთი ცუდი ჩვეულება შემოაქვთ ზოგიერთ მწერლებს. თუ თქვენთან პოლემიკა აქვთ, აზრადაც და საბუთადაც იმას კმარობენ, რომ თქვენ გამცირებენ და თქვენს მოპირდაპირეს აქებენ. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ბ-ნ ფ. მახარაძის საპოლემიკო წერილი სათაურით: „გაკვრით პასუხი" [1]). პოლემიკა ტრიალებს იმის შესახებ, განვითარებულია თუ არა ჩვენში კაპიტალიზმი. ჩვენი აზრით განუვითარებელია, ბ-ნი ჯიბლაძე და ბ. ფ. მახარაძე წინააღმდეგს აღიარებენ. ხსენებულ წერილის თავში ეს უკანასკნელი აუარებელ ფაქტებს დაგვპირდა, კაპიტალიზმის განვითარების დასამტკიცებელს. მაგრამ, საკვირველია, აუარებელი-კი არა, ერთად ერთი თუ ორი მოვლენა გვიჩვენა, რომელიც, თუმცა ყველას თვალში ეჩხირება, მაგრამ არაფერსკი არ ამტკიცებს. სამაგიეროდ რა თავ-მომწონება, ამპარტავნობა, შეერთებული სხვისი დამცირების სურვილთან! თუ არა გჯერათ, წაიკითხეთ ხსენებული წერილი და დარწმუნდებით. ალბად, ბ ნ ფ. მახარაძეს ჰგონია, რომ გამარჯვება იმას რჩება, ვინც მეტს ილანძღებაო. აი ნიმუში: „როცა ერთს რომელსამე გამორკვეულს და ნათლად გამოთქმულს აზრს შეუფარდებენ არა აზრს, არამედ მარტო სხვა-და-სხვა ფეროვან სიტყვების აქეთ-იქით რახა-რუხს, ე. ი. ყოვლად უაზრობას"... „ჩვენ ყოყოჩ ყოყოჩა პუბლიცისტებმა მაშინვე მოიქციეს სახე განზედ და... დაკმაყოფილდნენ დიდი ხნიდგან სხვების მიერ წარმოთქმული დახავსებული და დამპალი სიტყვების გამეორებით"... „როცა ლალები, თუ ნა—ლები, ჩვენ გვეკითხვენ ლექციებს... იმედი უნდა ვიქონიოთ, ხსენებული მეცნიერების ანა-ბანა თვით მათ მაინც უნდა იცოდნენ"... «რამდენიმე ხანია, რაც ჩვენი აწინდელი საზოგადოების ვითარებათა შესწავლას შევუდექი და სხ."...

აი რა მაღლა აყენებს, მკითხველო, ბ ნი ფ. მახარაძე თავის თავს თავისს მოპირდაპირეებზედ. მაგრამ რამ გამოიწვია ასეთი გაზვიადებული წარმოდგენა თავის თავზედ? მართლა იმდენი ღირს თუ არა, რამდენადაც თავს იფასებს? ვნახოთ.

ჩემს წერილში: „არსებობს თუ არა ჩვენში კლასთა ბრძოლა"? [2]) მე ვამბობდი, რომ ჩვენს შორის კლასთა ბრძოლა არ არის-მეთქი. ამაზე ბ-ნი ფ. მახარაძე გვიპასუხებს, რომ რაკი ადამიანი ველურ მდგომარეობიდგან გამოვიდა, მას აქეთ ისეთი დრო არ ყოფილა, რომ კლასსები, ანუ დასები არ ყოფილიყვნენო. ყოველთვის ყოფილა მცირე რიცხვი გამარჯვებულთა და დამარცხებულთა უმეტესობაო. დიაღ, მართალი ბრძანებაა, მაგრამ გამარჯვებულთა დასი ხან ერთი ყოფილა, ხან მეორე, ხან თვისტომი, ხან უცხო. ამას გარდა ყოველთვის არ ყოფილა ბრძოლა გამარჯვებულ და დამარცხებულ დასთა შორის, ხშირად უმაღლესი და უმდაბლესი წოდება შეერთდებოდნენ ხოლმე გარეშე მტრის მოსაგერებლად ან დასამორჩილებლად და ძველ ქვეყნებში: ინდოეთში, ჩინეთში და სხვ. წოდებათა ურთიერთობა ისე იყო გაქვავებული, გაყინული, რომ ამ ურთიერთობის დარღვევას არავინ არ ცდილობდა. ამგვარად უმაღლესი და უმდაბლესი წოდებანი იყვნენ, მაგრამ კლასთა ბრძოლა-კი არ ყოფილა. რად? იმ ეკონომიურ პირობებში შეუძლებელი იყო შინაგანი კლასთა ბრძოლა. თუ არ დამეთანხმებით, მერე უფრო ვრცლად მოგელაპარაკებით ამ საგანზედ.

ახლა ვიკითხოთ: უწყობს თუ არა ხელს ჩვენი ეკონომიური ვითარება შინაგან კლასსთა ბრძოლას? არავინ არ ამბობს, რომ ქართველებშიაც არ ურევიან ექსპლოატატორებიო. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ექსპლოატატორებიც ღარიბები არიან. თუ ჩვენს გლეხებსა და თავად აზნაურებს შუა ასე გამწვავებულია ბრძოლა (თუმცა არა კლასსთა შორისი), ეს უფრო იმას უნდა მივაწეროთ, რომ თავადაზნაურები გაკოტრდნენ და, რაკი ეკონომიურ დაცემას თან მოსდევს პატივისცემის მოკლებაც, ამიტომ მათ ეს პატივისცემა ხმლით უნდათ დაიბრუნონ. ჩემის ფიქრით, დიდხანს არ გაგრძელდება ეს უგვანო, ანორმალური მოვლენა და შემდეგი თაობა თავად აზნაურობისა თავისს უსაფუძვლო წოდებრივ თავ-მოყვარეობას შრომაზედ გასცვლის; ეკონომიური საჭიროება ყოვლის შემძლებელია.

არიან, რასაკვირველია, უფრო მდიდრები და უფრო ღარიბები ჩვენშიაც. მაგრამ მათ შორის ისეთივე კლასსთა შორისი ბრძოლა შეიძლება იქმნეს, როგორიც ინგლისში კარგ ჯამაგირიანსა და მცირე ჯამაგირიან მუშებს შორის არსებობს. მართლაც, მარტო ჩვენს მდიდრებს რომ საკუთრება ჩამოვართვათ და გავინაწილოთ, თუნდ განუყოფელიც დავიტოვოთ, ვის რა გაგვხვდება? შორეული მიზანი, რომელსაც ელტვის დაწინაურებული კაცობრიობა, არის ყველასი ექსპროპრიაცია. მაგრამ არც ეს კმარა, რომ ყველა გამოვიდეს სიღარიბის ჭაობიდგან, საჭიროა განვითარებული წარმოება, ტეხნიკა, კოოპერაცია. მაშინ მწარმოებელი ძალა ისე დიდი იქნება, როგორიც არც-კი მოსიზმრებია ეხლანდელ ქართველ მწარმოებელს. ის წესი წარმოებისა ყველას მდგომარეობას გააუმჯობესებს. ეხლანდელი, შედარებით, მდიდარი ქართველი მაშინ ერთი-ორად უფრო მდიდარი იქნება. მაშ რად უნდა იყოს იგი წინააღმდეგი იმ წესისა. დიაღ, მისი ეკონომიური ინტერესიც იმას მოითხოვს, რასაც ღარიბისა. ამ მხრივ შედარებით მდიდარს და ღარიბ ქართველს შორის სრული თანხმობა შეიძლება.

მაშასადამე, კლასსთა შორისი ბრძოლა ჩვენში არც შეიძლება და არც საჭიროა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, ერთი და იგივე იდეალი მომავლისა გავავრცელოთ ჩვენის ერის ყველა ნაწილებში. ხოლო რაც შეეხება ახალ იდეალს, ღარიბ გლეხების ან აზნაურების ჩარჩების ხელიდგან დაცვას, ეს, თუმცა დიდი სასარგებლო და საპატიო ძოღვაწეობაა, კლასსთა ბრძოლას არ შეეხება. კლასსთა ბრძოლა რადიკალური საქმეა, ჩარჩებთან ბრძოლა კი—პალლიატიური. სხვა-და-სხვა მოვლენა ერთმანეთში არ უნდა აურიოთ. რამდენად შევიძლებთ ამ საქმეს დღევანდელ პირობებში, ეს სხვა საკითხია. ხოლო ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია.

მე-21 ნომეროში ბ-ნი ფ. მახარაძე გვასწავლებს: 1) წვრილი მესაკუთრე კონსერვატორიაო, 2) ირლანდიაში კაპიტალიზმი განვითარებულია, როგორც ამერიკაშიო, 3) ჩვენში რაც საქონელი შემოდის, ყოვლისფერს ბაჟი ადევსო. წვრილი მესაკუთრე კონსერვატორია, იგი იცავს იმას, რაცა აქვს და წინააღმდეგია ცვლილების შემოღებისა. მაგრამ ხანდახან როცა რაცა გაქვს, იმის წართმევასაც გიპირებენ, დაცვაც კარგია. რომ წვრილ მესაკუთრეს ცვლილებები არ უყვარს, ამის დასამტკიცებლად ბ-ნი ფ. მახარაძე ეფუძნება მარქსის ავტორიტეტს.

განვიმეორებთ, წვრილი მესაკუთრე კონსერვატორია, მაგრამ არც ისე, როგორც თქვენ გგონიათ, ბ-ნო ფ. მახარაძე. როდესაც მარქსი ლაპარაკობდა წვრილი მესაკუთრის შესახებ, კაპიტალიზმის შესახებ და სხ., იმას ჰქონდა სახეში ევროპის ისტორია. როდესაც ჯერ ახალი იდეალი შეუმუშავებელი და გამოურკვეველი იყო, მაშინ, რასაკვირველია, ეს ახა-

[1]) „კვალი" 1895 წ. №№ 20, 21, 22, 23.

[2]) იხ. „ივერია" № 73. 1895 წ.

ვარშავის გუბერნიაში აღმოუჩენიათ დიდი მადანი ქვის ნახშირისა.

—

ამ თვეში პეტერბურგს მოელიან საფრანგეთის გამოჩენილს ასტრონომს ფლამარიონს. ფლამარიონი მიემგზავრება შორეულს ციმბირის ქალაქ ხაბაროვსკში, სადაც 27 ივლისის მზის დაბნელებას უნდა დაუკვირდეს.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

გაზეთი „მოსკ. ვედ.“-ი უკვე შეუდგა რუსეთის ახალის მეგობრის აბისინიის განათლების პროექტის განხორციელებას. რედაქცია აგროვებს თანხას, რომელიც მოხმარდება ზარების ჩამოსხმას; რედაქციას უკვე შეუკვეთნია მრავალი ზარი, რომელიც აბისინიაში გაიგზავნება. (იხ. „მოსკოვ. ვედ“-ი № 179) გაზეთს იმედი აქვს, რომ რუსეთი, რომელიც ყოველთვის სიხარულით ეგებება ამგვარს სასარგებლო და საჭირო განზრახვას, არ დაიშურებს ხარჯს.

—

აი რას იუწყებიან გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის მიერ ზღვით მოგზაურობის შესახებ:

„იმპერატორმა ვილჰელმ II თან საკმაოდ დიდი ამალა წაიყვანა. ამალას მალე შეუერთდება იმპერატორის საყვარელი გრაფი ფილიპე ეილენბურგი, რომელიც ავსტრიის იმპერატორის წინაშე იმყოფება გერმანიის ელჩად. დასვენებით ამ მოგზაურობის დროს იმპერატორი დიდხანს არ დაისვენებს. გულხელ დაკრებილს ჯდომა იმპერატორს სრულიად არ უყვარს. დილით იგი ძალიან ადრე დგება და რომ დრო ფუჭად არ გაატაროს, იმპერატორი ათასნაირს საქმეს იჩენს ხოლმე. ამ წელს იმპერატორმა, „ჰოჰენცოლერნზედ“ თან წაიყვანა სამთო ინჟენერი, რომელიც ახალის ტიპის სამხედრო გემების გეგმებს არდგენს. მაგრამ სერიოზულს შრომას იგი დღეში მხოლოდ 5 საათს მოანდომებს, დანარჩენი დრო-კი განზრახვა აქვს დაუთმოს მხატვრობას... და კომედიებს, რომლებისადმიც, როგორც ამბობენ, დიდს სიყვარულს იჩენსო. როგორც-კი შებინდდება, იმპერატორის გემის სასტუმრო ნამდვილს თეატრს წარმოადგენს. იმპერატორი და მისი სტუმრები სათეატრო ტანისამოსს იცმენ და თამაშობენ კომედიებს, დრამებს, რომლების შინაარსიც პრუსიის სამხედრო ისტორიის არის ამოღებული. პირველის რეჟისორის მოვალეობა გრაფს ფონ გეცსა აქვს მინდობილი; ფონ გეცს წინადვე შეუდგენია იმ პიესების სია, რომლებსაც ამ მოგზაურობის დროს ითამაშებენ. ყველა ამ პიესებში უმთავრესს როლებს თვით იმპერატორი შეასრულებსო“.

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** გაზეთს „სტანდარდ“-ს მოსდის ოსმალეთიდგან კერძო წერილები, რომლის ავტორნი ცნობილნი პოლიტიკური მოღვაწენი არიან. მათ წერილებიდგან სჩანს, რომ ოსმალეთის მთავრობა ძლიერ აღშფოთებულია მაკედონიის აჯანყებით. ოსმალეთის მთავრობა, სწერენ „სტანდარდის“ კორესპონდენტები, ამ ბოლო დროს საჭიროდ სთვლის მთელ სახელმწიფოს შესახებ მოახდინოს ზოგიერთი რეფორმა და არა მარტო სომხეთის შესახებ.

—

**იტალია.** იტალიურ გაზეთების სიტყვით, სამთა კავშირთა ხელმწიფენი შემოდგომაზედ გერმანიის რომელიმე ქალაქში ერთმანეთს ინახულებენ ძლიერ საყურადღებო საგნის განსახილველადაო.

—

**ინგლისი.** თავისს მხრით გლადსტონმაც მიიღო მონაწილეობა საარჩევანო ბრძოლაში. ეს მონაწილეობა გამოიხატა მასში, რომ ლიბერალებმა ქუჩებზედ გამოჰკიდეს გლადსტონის განცხადება, რომლითაც იწვევს ამომრჩეველთ ის კანდიდატები აირჩიონ, ვინც ლორდთა პარლამენტის უფლების შემცირებისათვისა და ირლანდიის თვით-მმართველობის მინიჭებისათვის ბრძოლა-მოღვაწეობის პირობას დასდებს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ამერიკაში ქალაქ გრეტ ფოლსში ელექტრონი დიდს ხმარებაშია. აქ იგი სწვავს ცხენების მაგივრობას, ხმარობენ სტამბებში, ფაბრიკებში, სამზარეულოებში, საჭმლის მოსახარშავად. ელექტრონის საშუალებით მოძრაობაში მოჰყავთ სამეურნეო იარაღები და ჩაქუჩები დიდრონის ქვების დასამტვრევად, ამზადებენ ცემენტს და სხვა... ერთის სიტყვით ყველგან ელექტრონი და ელექტრონი. ელექტრონმა მრავალი მუშა დასვა გულ-ხელ დაკრებილი უსაქმოთ. მიზეზი იმისა, რომ ასე ხშირად ელექტრონის ხმარება ელექტრონის სიიაფეა და ელექტრონის სიიაფის მიზეზი კიდევ იქაური ჩანჩქარებია. ეს ჩანჩქარება სწევენ იმ მაშინების მაგივრობას, რომელთა საშუალებით სხვა ქალაქებში ელექტრონს ამზადებენ, რისთვისაც დიდი შრომაა საჭირო.

## სასამართლოს მატიანე.

—

ვოლკოვის საქმის გამო.

აზუევი. მე პატიმარს ჩხოძლის მივანდე შეეტყო ახალაიასაგან, ის ხომ არ ყოფილა ვოლკოვის სახლის გამტეხი. იმან ჰაა გამოტეხა, ამით შემდეგ ჰა მოიყვანეს საპატიმროში, რომელიც გამოტყდა, მე მეხიევს გადავეცი ეს ამბავიო. შამათავამ სთქვა: მე ცხენი დამეკარგა და მ. ჟარის ხიდთან ვდარაჯობდი, იქნება ვინმემ უცხომ გამოიაროს-მეთქი. შუაღამე გადასული იყო; ჯერ ერთმა ცხენოსანმა გამოირბინა საშინელის სიჩქარით, მერე ცოტა ხნის შემდეგ მეორემ. ჩემს შეძახილზედ არც ერთმა მათგანმა ხმა არ გამცა. მე იმ ადგილზედ გათენებამდის ვიყავი, მაგრამ არავის სხვას არ გამოუვლია.

ჩხოძლია (პატიმარი შეჩენილი) მე და ახალაია ერთად ვიჯექით; რამდენჯერმე ვკითხე ახალაიას ვოლკოვის ამბავი და ყოველთვის უარზედ იდგა, ბოლოს სთქვა: შეიძლება ჰა იყო ამ საქმეში, რადგანაც მე იმას ერთხელ ვუთხარი ვოლკოვის შეძლების ამბავიო.

შარვაშიძის მოწმებმა, რომელნიც ადმინისტრაციიდგან იყვნენ მოწვეულნი ამ საქმეში, სთქვეს: შარვაშიძემ სთქვა, არ მოვალ უფროსთანაო, გავარდნილი იყო და ვემალებოდაო. ზოგმა სთქვა: ყალბი მოწმების შოვნა უნდათ და როგორც იშოვნიან იმ წამსვე თითონ მოვაო. ერთმა განყოფილების უფროსმა ისიცკი სთქვა, რომ როდესაც შარვაშიძის დასაჭერად ერთი სახლი გავსინჯეთ, თურმე შარვაშიძე იქ იყო, იმ ლეიბს ქვეშ იმალებოდა, რომელზედაც ქალი იწვა. ეს ამბავი მეორე დღეს შევიტყვეო. (აქ ხალხს სიცილი შეაკდა).

თითონ შარვაშიძის მოწმებმა თითქმის ერთხმად სთქვეს, რომ ის ნახეს 1892 წ. ივლისის პირველ რიცხვებში ზუგდიდის მაზრაში თავ. აფაქიძის ოჯახში, სადაც ერთს გლეხს ცხენი გაუცვალა და მოწმობაც გამოართვაო. იმ ღამეს ბოქაული სახლებს ჩხრეკდა ამ სოფელში. მოვიდა სხვათა შორის აფაქიძის სახლში და ეს მოწმობა შეამოწმა. ეს ის მოწმობაა, რომელსაც სიყალბეს წამებდნენ ზოგიერთნი პოლიციის მოხელენი სოხუმის ოლქისა. მაგრამ რომ ეს ყალბი არ იყო, უფრო იმით დამტკიცდა, რომ ის კაცი, ვისაც შარვაშიძემ ცხენი გაუცვალა, წამოჰყოლია მას სამურზაყანოში, თხუთმეტი მანეთი ცხენის სათავიგამოურთმევია და ცხენის მოწმობაც, რომელიც მამასახლისისათვის შეუმოწმებინებიათ. ამ მოწმობის არსებობა არავინ არ იცოდა დღევანდელ დღემდის, გარდა იმ პირთა, ვისაც უნდა სცოდნოდა. ბრალმდებელმა ჰკითხა ქანტურიას, შენ-კი მიეცი შარვაშიძეს მოწმობა და ცხენი, მაგრამ შენ არ გამოართვიო? როგორ არაო, გაიხსნა ახალუხის უბე, ამოიღო იქიდგან შარვაშიძისაგან მიცემული მოწმობა, მამასახლისისაგან შემოწმებული ექვს ივლისს. ახლა-კი ყველანი სახტად დარჩნენ. ყველამ წყალი დაიგუბა პირში შარვაშიძის შესახებ. ბოლქვაძის მოწმებმაც სთქვეს, რომ ის ხევის თავად იყო თავისს სოფელში ზუგდიდის მაზრაში. ივნისის უკანასკნელ რიცხვში ორი

---

ლი გზა საზოგადოების იმ ნაწილს უნდა შეეგნო, შეეთვისებია და ეჩვენებია ქვეყნისათვის, რომელიც ახალ ეკონომიურ პირობებში ჩავარდა, ახალი ეკონომიური ორგანიზაციის ელემენტი შეიქმნა. მას უკან კი, როდესაც მოძრაობამ მიიღო მტკიცე მიმართულება, როდესაც ყველაფერი შეისწავლა, დადგინდა, გამოირკვა, წვრილ მესაკუთრეებისთვისაც ადვილი შეიქნა შეთვისება, შეგნება ახალი იდეალისა. ავიღოთ უბრალო მაგალითი. ჩვენი გლეხი თავისს დღეში ვერ მისწვდება თავისით ახალი მაშინების შემოღებას თავისის მეურნეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ თუკი ვინმე შემოიღებს და დაანახვებს მათს სარგებლობას, მაშინ იგიც დიდის სიხარულით წაჰპოჭავს მას. დღეს ევროპის პროგრესსიული დასი ხედავს, რომ სრულიად საჭირო არ არის მთელი ერი პროლეტარიატად და კაპიტალისტებად გაიყოს და ცდილობს გლეხებშიაც გაავრცელოს ეკონომიური ცნობიერება: დიაღ, ჩვენში სხვაგვარ პირობებში მოხდება ამ ცნობიერების ზრდა-განვითარება, ვიდრე იგი მოხდა ევროპაში, რადგან ჩვენ სულ სხვა-გვარი ისტორიული წარსული გვაქვს. რაც შეეხება თქვენს აზრს, რომ, საქართველოში რაც საქონელი შემოდის, ყველაფერს ბაჟი ადევსო, ამის დარღვევა საჭიროდ არ მიმაჩნია.

ირლანდიაში კაპიტალიზმი ისე განვითარებული, როგორც ამერიკაშია, ბრძანებთ. მოგეხსენებათ, რომ კაპიტალიზმის სული და გული საქარხნო და საფაბრიკო მრეწველობაა. სადაც ეს უკანასკნელი არ არის, იქ არც კაპიტალიზმია და მარქსის სიტყვით-კი ირლანდია სამიწათ მოქმედო ოლქად იყო გადაქცეული. ვინ არის მართალი, ბ-ნო მახარაძე, თქვენ თუ მარქსი? თქვენ არ უჯერით რუსის პროფესორს იანჟულს, რომ ბაჟით და სხვა ზომებით ირლანდიაში მრეწველობა დასცა ინგლისმა. მოვისმინოთ უცხო ქვეყნის მწერალი[3]): „მეჩვიდმეტე საუკუნეში ირლანდიის სამხრეთ პროვინციაში აჰყვავდა მდიდარი მრეწველობა, მატყლის მანუფაქტურა. 25 მარტს 1699 წელს კანონმა დადო ძლიერ დიდი ბაჟი. სავაჭროს გატანას და მატყლის მანუფაქტურა გაჰქრა ლონდონელი კაპიტალისტების მეცადინეობით“. მე დარწმუნებული ვარ, იმგვარი პოლემიკური ჩვეულება გქონდათ, რომ არც ამ მწერალს დაუჯერებთ. მაგრამ, ბ-ნო ფ. მახარაძე, რით ამართლებთ თქვენს მოქმედებას ამ შემთხვევაში? როდესაც ისეთს მწერლებს, რომელთაც ავტორიტეტი დაუმსახურებიათ, უარყოფთ, მაშინ ერთი-და საშუალება დაგრჩენიათ, გაცრუოთ ის წყაროები, რომლებითაც იგინი ხელმძღვანელობენ, თორემ, თქვენ რომ მათი ავტორიტეტის მაგიერ თქვენი და ბ. ჯიბლაძის ავტორიტეტი წარმოგვიდგენიათ, ვინ დაგიჯერებთ?!

რომ ირლანდიაში მრეწველობა მაღლა არა დგას, ამას გვიჩვენებენ შემდეგი ფაქტები.

მიწათ-მომქმედთა რიცხვის შედარება საზოგადოების იმ ნაწილთან, რომელსაც რამე პროფესსია აქვს, ვაჭრობს, ხიდავს და მრეწველობს[4]), არის:

ინგლისში 1:5,74, შოტლანდიაში 1:4,41, გერმანიაში 1:1,18, საფრანგეთში 1:1,07, ირლანდიაში 1:0,97, რუსეთში, 1:0,16.

ამგვარად ირლანდიაში მიწის მუშა მეტია, ვიდრე ქალაქისა. მაგრამ ხსენებული ციფრები მაინც არ გვაძლევს ნათელს წარმოდგენას, რამდენად ჩამორჩენილია მრეწველობა ირლანდიისა, საფრანგეთისა და გერმანიისაზედ. მარტო გეომეტრიული შედარება არ კმარა, საჭიროა არითმეტიკულიც, საქმე ის არის, რომ ირლანდიაში მცხოვრებთა რიცხვი ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე საფრანგეთში და გერმანიაში, და ამ ნაკლები რიცხვის უმცირესი ნაწილი მოქმედებს იქ მრეწველობის ასპარეზზედ. რასაკვირველია, რომ რა კი, ფაბრიკის მუშათა რიცხვი, შედარებით, ძლიერ მცირეა ირლანდიაში, ამიტომ ძლიერ დაბლა იდგომება, შედარებით, მრეწველობაც.

მაგრამ რად არის მცხოვრებთა რიცხვი ირლანდიაში ასე მცირე? ინგლისის პოლიტიკის გამო. 1841 წლიდანო, გვეუბნება კაუცკი ხსენებულ წერილში, ირლანდიის მცხოვრებთა რიცხვი 8 მილიონიდამ 5 მილიონამდე შემცირდაო. თქვენი ფიქრით-კი, ბ. ფ. მახარაძე, პოლიტიკურ უძლურებას ვერაფერი უნდა დაეკლო კაპიტალიზმის ზრდისათვის ირლანდიაში.

ყველამ უწყის, რომ სადაც უფრო განვითარებულია საჭრეწველო კაპიტალი, იქ უკეთეს ყოფაშია მუშა ხალხი და, სადაც მხოლოდ მიწა ჩაუგდია კაპიტალს ხელში და მრეწველობა კი დაბლა დგას, იქ მუშა ხალხის ბედიც ცუდ მდგომარეობაშია. ვნახოთ, რა მდგომარეობაშია ირლანდია, როგორია იქაური სოფლის თუ ქალაქელის ბედ-იღბალი. ამაზედ ხსენებული წერილი კაუცკისა ჩინებულ პასუხს გვაძლევს.

„ახლაც მართალია, ამბობს კაუცკი, ის, რასაც ტეკკერი სწერდა ამ ქვეყნის შესახებ: აღმოსავლეთით და დასავლეთით ირლანდიისა ყველგან შიმშილის სახე წარმოუდგება თვალწინ მოგზაურს. და ეს იშვიათი შემთხვევა კი არ არის, საზოგადო მოვლენაა. ამ უშვენიერეს და უმდიდრეს ქვეყანაში მილლიონობით იტანჯებიან შიმშილისაგან. აი ამ წამში ათასობით წევნან ირლანდიელნი თავის სახლის კარებთან უსაქმონი, მშიერნი და, როგორცა სჩანს, უიმედონი. ჯან-საღი სოფლის მუშები წვანან ქვეშ-საგებში შიმშილისაგან, რადგან დაწოლილს ნაკლები უნდა საჭმელი, ვიდრე ზეზე-მყოფს. ბევრმა უკვე ამოთხარა, რაც კარტოფილი ჰქონდა, ბოსტანში და ახლა კიდევ ზამთარს ელიან, როდესაც შიმშილს სიცივეც მიემატებაო“.

აი ირლანდიელი ფერმერის მოსახლობა. ოთხი კედელი აყალო მიწისაგან გაკეთებული, ჩალის სახურავი საკვამლითურთ—აი ამგვარ ოთახში სცხოვრობს მთელი ოჯახი. სხვა შენობა მას არ მოეძევება. შიგ ოღნავ ანთია ცეცხლი. 5—6 ნახევრად შიშველი ბავშვი რამდენსამე კარტოფილს სწვავს ნაცარში. იქვე ტალახში წევს ღორი. ამ შენობას აკრავს პატარა ყანა, სადაც კარტოფილი სთესია. ირლანდიის მუშებს არავის არ აცვია რიგიანი ტანსაცმელი. მთელი იქაური მუშა ხალხი კარტოფილით იკვებება. შობას თუ იგემებს ირლანდიელი ხორცს. ისიც კარგია. ვინც სამჯერ ჰამს დღეში კარტოფილს, მისი ბედი იქ ყველასთვის სანატრელია. ბევრი მხოლოდ ორიჯერაზე გადადის. მხოლოდ იგინი ითვლებიან ღარიბებად, რომელნიც თვითო დღეს შემდეგ შოვილობენ კარტოფილს, და უღარიბესნი მთელი ორი დღის განმავლობაში სულ მშიერები არიან ხოლმე. ეს კიდევ მაშინ, როცა კარგი დრო აქვთ. ირლანდიაში ყოველ წელიწადს შიმშილობაა, რომელიც იწყება აპრილის შუა რიცხვიდამ, როდესაც კარტოფილი გამოილევა, და გრძელდება აგვისტომდის, ახალის კარტოფილის შემოსვლამდის. მარტო 1817 წელს სისაწყლისა და შიმშილისაგან 65.000 კაცი მოკვდა და ციებ-ცხელებით ავადმყოფობდა 1.500.000 კაცი! 1835 წელს მოახდინეს დიდი გამოკვლევა ირლანდიის ყოფა-მდგომარეობისა. ამ გამოკვლევის კომისსარების ფიქრით ირლანდიაში ყოველ წელიწადს 3 მილიონამდის ჩავარდება ხოლმე სრულს სისაწყლეში. ამ სამი მილიონისთვის მეოთხე მილიონი არ მიუმატებიათ მიტომ, რომ ეს უკანასკნელები მეტის მეტად დამშეულები არ ყოფილან. „Mewort“-ის მცხოვრებთა შორის 1835—37 წწ. 9.838-ს მხოლოდ ჩალა ჰქონდათ ქვეშ საგებად და 7.531-ს მიწაზე ძინებოდათ. „derry Laken“-ის

---

[3]) Русское Богатство. 93 г. № 12. Ирландія. Кауцкій.

[4]) Русское Богатство, № 4. 1894 г. Задачи экономической политики въ области сельско хозяйственнаго производства, А. Бѣлевскій.

ცხენი დაიკარგა სოფელში, შეიკრიბნენ მამასახლისთან ყველა ხევის თავები და სხვათა შორის, ბოლქვაძე იმერეთისაკენ გავგზავნეთ ცხენის საძებნელად და ექვს ივლისს კიდევაც მოიყვანა სენაკის მაზრაში ნაპოვნი ერთი ცხენიო.

შამუშიას მოწმეებმა ერთხმად სთქვეს: კოწია ბატონიშვილს მოჰყვა აფხაზეთიდგან ავადმყოფი შამუშია ივნისის გასულს. ავადმყოფობა ისე ძნელი იყო, რომ 26 ივნისიდგან ივლისის გასვლამდის ლოგინათ იწვაო. ასე გასინჯეთ, რომ ექიმი ექიმობდა და მღვდელმა აზიარაო. (არ ვიცი რად და არც მღვდლის მოწმობა და არც ექიმის რეცეპტი ამ საქმეში არ იყო).

ხანაგვას მოწმეებმა სთქვეს. ამის მამას ისეთი სენი სჭირს, რომ იმის უკაცოდ შინ მიტოვება ერთს წუთასაც არ შეიძლებაო. სახლში ხანაგვას გარდა დავრდომილი ჰყავსო. მამისა და ერთი ფეხმოტეხილის ძაღლისა არავინ ჰყავსო.

სხვა პატიმრებს არც ხელ-მოსაკიდებელი საბუთი ჰქონიათ ამ საქმეში და არც თავისი მხრით მოწმები ჰყოლიათ. ერთად-ერთი ამათი სამის წლის პატიმრობის საბუთი გახლდათ ქაას ვითომ-და გატეხა და სხვებზედაც ჩვენება.

გამოკითხვა მოწმებისაც და პატიმრებისაც გათავდა, დაიწყო ბრალმდებლის ამხანაგმა ლაპარაკი, მაგრამ ბრალს ამ საქმეში ისიც ცოტად სდებდა ქაას, ახალაიას და ჩირიკბაიას, რადგანაც ისინი ასე თუ ისე გამოტყდნენ, რომ ამ საქმის ჩამდენთ ვიცნობთო.

ამის შემდეგ ილაპარაკა ვექილმა ქოჩაქიძემ, რომელმაც, სხვათა შორის, განიხილა საქმის გარემოება მარ-ზნეობრივი მხარე ამ შემთხვევისა. თალია ეს საქმე ძალიან შეთხზული და შეკონკილიაო, მაგრამ ამაში ბრალს ჩვენ ვერავის ვერ დავდებთო, რადგანაც ხანდახან საზოგადოდ ცხოვრებაში ისეთი გრიგალი დატრიალდება ხოლმე, რომ ვინ რას შვრება, არც-კი იცისო. ეს საქმეც ამგვარი არა ჩვეულებრივი სულის და გულის შემაშფოთებელი შემთხვევა იყო და ამის გამო არ იცოდნენ ადგილობრივმა პოლიციის მოხელეებმა რა ექნათ, მოედვნენ ლობე ყორეს და მოგვცეს ხელთ სვე ბედი ამა უბედურთა, რომელნიც ჩვენგან უფრო ბევრს სიმართლეს მოელიან. მას აქეთ ბევრი დრო გავიდა, საზოგადოება დაწყნარდა, ჩვენც საქმე შევისწავლეთ, დღესაც აქ მყოფთ პირდაპირ გვითხრეს ესა და ეს კაცი ამა-და-ამ ადგილზედ იყოო. ერთად-ერთი პატიმარი ქაა არის, რომელიც ამათზედ აჩვენებს მხოლოდ სიტყვით. მაგრამ ეს არ კმარა, კაცმა მიიღოს საბუთად, ოცი ოც-და-ათი პატიოსანი კაცის ნათქვამი უარ-ჰყოს და ქაას ლიტონ სიტყვებზედ დაამყაროს თავისი მსჯავრი. ამის გამო ვსთხოვ სამსჯავროს მიიღოს მხედველობაში ყოველივე ესე და გაამართლოს უბრალო სიჩქარის მსხვერპლნიო. აი ეს იყო, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბ-ნ ქოჩაქიძის სიტყვა.

ამის შემდეგ ილაპარაკეს სხვა ვექილებმა და იმასვე ამტკიცებდნენ, რასაც ბ-ნი ქოჩაქიძე ე. ი. ხელ-საყოფი საბუთი, გარდა პატიმარის ქაას ჩვენებისა, არაფერი არა გვაქვსო.

ბოლოს თავმჯდომარე მიუბრუნდა ცალკ-ცალკე ყველა პატიმრებს და ჰკითხა. გაქვთ თუ არა რამ სათქმელი, ეს, რასაც ეხლა იტყვით იქნება თქვენი უკანასკნელი სიტყვაო. ყველამ ასე უთხრა: რაც გვქონდა სათქმელი, უკვე ვთქვით ჩვენც და ჩვენმა მოწმეებმა, ახლა თქვენ იცით და თქვენმა ღმერთმაო. სულ ბოლოს უთხრეს ქაას: აი უკანასკნელად გეძლევა ნება კიდევ სთქვა რამე; რაც სთქვი, მართალია თუ არაო? რაც არის—არის, სხვა რაღა ვსთქვაო — სთქვა მან. ხელ-ახლა დაეკითხა თავმჯდომარე: იქნება ვინმემ რამე ნაირად შეგაგონა და გათქმევინა, მაგრამ როგორც იყო საქმე, ახლა მაინც სთქვიო.

ამის თქმაზედ წამოიმართა ქაა და სთქვა: ვიცი, რაც უნდა ვსთქვა, მაინც არაფერს მიშველის, მაგრამ საქმე სულ სხვა ნაირად იყო. თავიდგან რომ მოვყვე, შორს წაგვიყვანსო. მე უეცრად დამიჭირეს. არც კი ვიცოდი რათა და ჩამსვეს ნაობახტში, ჩემთან ჩასვეს ახ. ლაკერბაია. იმან მითხრა, კაცო, ვოლკოვის საქმის თაობაზედ დამიჭირეს, შენც იმაზე უნდა იყო დაჭერილი, მოდი ერთს გეტყვი, ესა და ეს კაცები დავასახელოთ და შეიძლება გაგვიშვანო. ჯერ არ დავთანხმდი, მაგრამ ბოლოს ნაობახტის უფროსი მოვიდა და მითხრა: თუ გინდა ჩინი-ორდენი, ჯილდო და პატივი, სთქვი შენც, ვინ იყვნენ შენთან ვოლკოვთან, შენი ამბავი ყველამ იცის და გაგიშვებენო. აი მე ხომ მხედავ, მეც ბევრი ვაივაგლახი გამომივლია, მაგრამ ახლა ხომ მხედავ, თუ რა კაცი ვარ, შენც ასე იქნებიო. მე მეგონა ახ. ლაკერბაიაც ჩემსავით იტყოდა, ავდექ და ყველაფერი ვუამბე, რაც ლაკერბაიამ მითხრა. ცოტა ხანი გავიდა, დავიბარე მესხიევი, რომელმაც მითხრა: შვილო, ნუ გეშინიან, მართალი სთქვი და რაც შემეძლება მე ვიციო. მე მესხიევს ვუამბე ყოველივე, რაც ლაკერბაიამ მითხრა. მან დამისვა დროგზედ და გამომძიებელთან წამიყვანა, იმასაც ვუამბე ყოველივე. თავდები მომთხოვეს, მეც წარვუდგინე. მართლა, თავიდგან იმის თქმა დამავიწყდა, თუ როგორ ვცხოვრობდი. 13 წლისა ვიქნებოდი, ცხენი მოვიპარე სამეგრელოში. იმისათვის ნაოლადლევის სამსჯავრო მიბარებდა აქედგან; მე, ეს როგორც გავიგე, შევშინდი და სამურზაყანოში გავიპარე, იქ დავიწყე მალვა. დიდხან ვიმალებოდი; ამ დროს გახშირდა ქურდობა სამურზაყანოში; რადგანაც მაშინ რამდენიმე ჩემი გვარის კაცი აბრაგად იყო გავარდნილი, რომელთაში ცხვში ჩემი სეხნა სტეფანე ქააც ერია, მე ადვილად დამიჭირა მაშინდელმა უფროსის თანაშემწემ, კამსარაკანმა, მომიყვანა სოხუმში. გაიგო თუ არა ჩემი ამბავი დაწვრილებით, გამიშვა და მითხრა: შენ გეტყობა, მარჯვე ბიჭი გევხარ, თუ გსურს ვსადნიკად შემოდიო, მეც დავთანხმდი და შევედი, შვიდი-რვა თვე ამ ხელობაში ვიყავი. რადგანაც მე ამ ოლქში ბევრს ავს კაცს ვცნობდი, ჩემის წყალობით ბევრი კაცი ჩავარდა მართებლობის ხელში და ბევრიც გაციმბირდა. ბოლოს გამოვედი სამსახურიდგან, დავესახლე სოფლად და ვცხოვრებდი ჩემთვის. გახშირდა თუ არა ქურდობა, ხელ-ახლა მიხმო მოსახმარებლად ბ. დესიონმა, მეც ვიახელი და ჩუმად ბევრი კაცი ჩავუგდე მას ხელში. ეს გარემოება მგონი ღუბერნატორსაც მოეხსენება. ამ ბოლო დროსაც ასე უნდოდათ ჩემი გამოყენება, მაგრამ როგორც ვხედავ, ყველანი აქ დარჩებით და საწყალი სტეფანე-კი დაიკარგება. მაგრამ ჩემი ცოდვა იმისს კისერზედ იყოს, ვინც მე უბრალოდ ამ საქმეში გამხვია და გადმოუშვა ცრემლები.

მსაჯულები გავიდნენ განაჩენის დასადგენად. თხუთმეტს წამს არ გაუვლია, გამოიტანეს განაჩენი, რომლითაც ყველა პატიმარნი ამ საქმის თაობაზე სრულიად გაანთავისუფლეს. ხალხმა შექნა „ბრავოს“ და „ურას“ ძახილი.

დანარჩენი კითხვები, თუ რად იტანჯებოდა აქამდის ამოდენა ხალხი თავისის ნათესავებით... კანონიერია თუ არა ზოგიერთ პირთა ქცევა ამ საქმეშია, — დაუსჯელად უნდა ჩაიაროს ყველა ამან და სხვა მრავალი, მიმინდვია მკითხველისათვის და მართლმსაჯულებისათვის.

გადამლელი.

## შემოწირულებანი.

ქართულის გალობის ნოტებად დაწყობისა და დაბეჭდვის სასარგებლოდ ბ ნ არ. ქუთათელაძისაგან მივიღე ერთი თუმანი. ეს ფული შემოსწირა ბ-ნ გიორგი ქართველიშვილმა.

მ. შარაძე.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ივანე სტეფანეს ძეს ბეთანიშვილს და ზაქარია ნიკოლოზის ძე დეკანოზიშვილს, რომელთაც ივნისის პირ-

---

206 მცხოვრებთ შორის მხოლოდ 39-ს ჰქონოდათ ტანი-სამოსი, დანარჩენები-კი ორის საშინელის მტრის სიცივისა და შიმშილის ხელში იყვნენ ჩაცვივნულნი. მერმე დახედეთ ისტორიის უკუღმართობას, მაშინ, როდესაც ირლანდიის ხალხი შიმშილის საშინელ ქვანგებშია ჩავარდნილი, ირლანდიიდან უცხო ქვეყნებში აუარებელი პური და ჯოგი გადის ინგლისის მესაკუთრეების მოგების გულისათვის!

ირლანდიელები არიან სარწმუნოებით კათოლიკები. 1688 წელს შემდეგ, იაკობ II დროს, კათოლიკებს ეჭირათ ხელში, როგორც საკუთრება, არა უმეტეს $^1/_{11}$-სა ირლანდიის მიწებისა და ეს $^1/_{11}$-იც 5—6 კათოლიკეთა ოჯახს ეკუთნოდა, რადგანაც შთამომავლობით ინგლისელები იყვნენ [1]).

რასაკვირველია, რომ ირლანდიელები ისე ადვილად არ დაუთმობდნენ ინგლისელებს თავის თავისუფლებას, მიწა-წყალს და სხ. მათ მედგრად იბრძოლეს ოთხ საუკუნეზე მეტი. მაგრამ ამ ბრძოლაში გამარჯვებული ინგლისელები დარჩნენ. ირლანდიელები კი დაუცხრომელის ბრძოლის შემდეგ ნამეტანად დაიღალნენ, მოიქანცნენ, დაიჩაგრნენ, ძველი მამაცობა დაჰკარგეს. [7]). ბოლოს, თუმცა ანარხისტები-კი ჩნდებოდნენ, მაგრამ დიდი ეროვნული მოძრაობა შეუძლებელი-ღა შეიქმნა. მთელი ირლანდია გადიქცა ინგლისის მეწველ ფურად. ზემოდ ვთქვით, რომ ინგლისმა ახლად აღორძინებული საქარხნო და საფაბრიკო მრეწველობა (Обработывающая промышленность) ირლანდიისა დასცა კანონის (!) ძალით. ასე გასინჯეთ, ამქრობის (цехъ) წევრადაც-კი არ შეეძლო ყოფილიყო კათოლიკეს. ხალხს დაადვეს მძიმე გადასახადი. ყოველივე უმაღლესი ასპარეზი, სამხედრო თუ სამოქალაქო, აღკრძალული იყო კანონით ირლანდიელთათვის. შკოლების მაგიერ გაამრავლეს საპყრობილეები და კაზარმები. გზებს მხოლოდ ინგლისის ლორდების სურვილზედ აკეთებდნენ. მსაჯულად არ შეიძლებოდა ყოფილიყო კათოლიკე. 1870 წელში ინგლისის სასულიერო წოდებას 16 მილლიონ გირვანქა სტერლინგის [8]) ქონება ჰქონდა ირლანდიაში, ამ კათოლიკების ქვეყანაში. დასარულ, ირლანდიელს აღკრძალული ჰქონდა იარაღის ტარება. „ეს [9]) უადვილესი და უუძლიერესი საშუალება იყო ხალხის შევიწროებისა, რომელიც-კი ოდესმე მოუგონებია კაცის გარყვნილ გონებას ხალხის გასაკოტრებლად და გასასაწყლებლად, ზნეობის დასამხობლად და კაცობრიული ბუნების შესალახველად და დასაჩაგრავადო“, ამბობს ერთი მწერალი. და ყველა ეს მოვლენები ხელს უშლიდნენ, რასაკვირველია, კაპიტალიზმის განვითარებას ირლანდიაში.

მთელი ირლანდია ქალაქებს—გარდა 1870 წელში 16.547 მესაკუთრეს ეკუთვნოდა, რომელთაც 10 მილლიონი გირვანქა სტერლინგი რენტა შემოდიოდათ წელიწადში. მათში 5.946 მესაკუთრე, რომელთაც ირლანდიის ნახევარზედ მეტი ეკუთვნით, ირლანდიის გარეშე ხარჯავენ თავისს შემოსავალს. ამათ ჰყავთ ირლანდიისათვის გამგეები და ამ უკანასკნელებს კიდევ თავისი გამგეები, ასე რომ, სანამ ნამდვილ მესაკუთრემდის მიაღწევდეს, ირლანდიის მიწის შემოსავალმა ორ გამგეს ხელში უნდა გაიაროს. გამგეები ანაწილებენ თავისს პატრონების სამფლობელოებს პატარ-პატარა ნაჭრებად და აბარებენ ფერმერებს. წარმოიდგინეთ, როგორი უნდა იყოს ამ პატარა ნაჭრებზე დასახლებულ ფერმერების მდგომარეობა, როდესაც, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, 40 დესიატინის არენდატორებსაც-კი მთელი სამი წლის განმავლობაში ერთი ღორიც არ დაეკლათ თავისვის. [1]) 135.314 არენდატორს „მწვანე ერინისას“ 1845 წელს თვითო-თვითო აკრი მიწაც არ ჰქონებიათ. და ასეთი სივიწროის დროს 5 მილლიონი სახნავი მიწა დაუმუშავებელი გდია! რად? მიტომ, რომ მესაკუთრეები შეთქმული არიან, უნდათ, რომ იჯარის ქირამ არ აიწიოს და ირლანდიელის მცირე მოთხოვნილება მის ბუნებრივ ჩვეულებად გახადონ, რომ მერე მან აღარაფერი მოითხოვოს. ეგრედ წოდებულ რენტად ირლანდიელები მთელ თავიანთ შემოსავალს იხდიან და იმდენს თუ იტოვებენ, რამდენიც საჭიროა, რომ შიმშილით არ დაიხოცონ [2]). თუმცა ამდენს იხდიან, მაგრამ მაინც ვალიდებიან მესაკუთრეებისა, ასე რომ იგინი დაწინდებული არიან ამ უკანასკნელების ხელში. კარგი მოსავალი და გლახა სულ ერთია მათთვის, რადგან, რაც კარგ მოსავლის დროს მოუვათ, ყველაფერს მესაკუთრეები წაიღებენ. რადგან მრავალი სახნავი მიწა დაუმუშავებელი არის და მესაკუთრეთა რიცხვი მცირეა, გამწვავებული კონკურრენცია მოიჯარადრებს შორის და ეს კონკურრენცია ერთობ დაბლა აყენებს მათს მოთხოვნილებას. ამას შემდეგ, რასაკვირველია, რომ მათ თავისი მეურნეობა არ გააუმჯობესონ. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც იქაურ უვარგისს სახნისებს ოთხზე მეტი ცხენი და 3 ან 4 კაცი ჰკრდებოდათ; ურმებს ბორბლების მაგიერად ფრჩხილები ეგოთ; მოსართავები ჩალის იყო. ბევრ ადგილას ირლანდიაში ამას წინად კალოებიც არ ჰქონდათ, ასე რომ პურს ქუჩაში ლეწავდნენ. მაგრამ ყველაზედ უარესი ის არის, რომ ერთსა და იმავე ადგილზედ ყოველ წელს კართოფილს სთესენ, რაც რასაკვირველია, ძალიან ღალავს მიწას.

ამ საუკუნის დასაწყისში დაიწყო ირლანდიაში ეგრედ წოდებული პარლამენტარული მოძრაობა. ირლანდიელები ცდილობდნენ, რომ მათაც მიეცემოდათ უფლება პარლამენტში დეპუტატების გაგზავნისა. 1829 წელსა კიდეც მიენიჭათ ეს უფლება. ამას გარდა მათ მიენიჭათ ყოველგვარი სამოქალაქო უფლება, ლორდ-კანცლერობის თანამდებობის გარდა. ეს უკვე დიდი შეღავათი იყო, თუმცა ამომრჩეველთათვის ერთობ დიდი ცენზი იყო დანიშნული. 1847 წლიდგან „ახალ-გაზდა ირლანდიას“ უნდოდა სრულიად განთავისუფლებია ირლანდია ინგლისის ხელისაგან, მაგრამ ესმოძრაობა ძირშივე იქმნა მოკვეცილი. შემდეგ ამისა მრავალი ირლანდიელი გადაესახლა ამერიკაში. 1861 წელს ამერიკაში დაარსდა ეგრედ-წოდებული „ფენიების კავშირი“. რომელმაც შიშის ზარი დასცა ინგლისის საზოგადოებას.

გლადსტონმა აღიმაღლა ხმა ირლანდიაში რეფორმების შემოღებისათვის, მან გამოცვალა დიზრაელი და შემოიღო ზოგიერთი რეფორმები, რომელთაც, ცოტა არ იყოს, ლოჯი მოსტეხეს ფენიანიზმს. მაგრამ ამ რეფორმებს ჯერ ბევრი არაფერი მოუტანიათ: ირლანდიის საკითხი ჯერ გადაუწყვეტელია.

ყველა ეს ამტკიცებს, რომ ირლანდიაში კაპიტალიზმი არ არის. საყოველთაო სიღარიბე და კაპიტალიზმი ერთმანეთთან მოუთავსებელნი. ამას გარდა თქვენც დამერწმუნებით, ბ. ფ. მახარაძე, — თუ კაუცკისაგან მოყვანილ ფაქტებს ან ყველაფერს, რაც-კი დაწერილა ირლანდიის შესახებ, დაუჯერებთ—რომ ირლანდიის მრეწველობას ერთობ ღარიბი შინაური ბაზარი აქვს. გარეშე ბაზარზედ კი, როგორც შინაურზედ, იძულებულია ინგლისის მრეწველობას გაუწიოს კონკურრენცია. მართალია, ირლანდიას დიდი კულტურა ჰქონია წარსულში, მართალია,

[1]) იხ. ხსენებული წერილი კაუცკისა. გვ. 55.

[7]) ib. გვ. 66.

[8]) გირვანქა სტერლინგი ერთი თუმანია.

[9]) ib. გვ. 72.

[1] ib. გვ. 78.

[2] ib. გვ. 79.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კელ რიცხვებში შეკრებს ხემ სასარგებლოდ ბათუმის საზოგადოებაში და გადმოცეს სამოც და-ოთხი მანეთი და ორი აბაზი (64 მ. 40 კ.

კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი ნ. ხუნდაძე.
6 ივლისს, 1895 წ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 ივლისი.

**პეტერბურგი.** 4 ივლისს ცარსკოე სელოში უწმ. სინოდის ობერპროკურორმა გამართა სადილი, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ საერო განათლების მინისტრი, მიტროპოლიტი პალლადი, ტირნოვოს მიტროპოლიტი კლემენტი, არხიეპისკოპოსნი ანტონი და იუსტინე, საქართველოს ექსარხოსი, აბესინიის საელჩო და პეტერბურგის ქალაქის მოურავი. პობედონოსცევმა სადილზედ სიტყვა უთხრა აბესინელთ, რომელშიაც უსურვა დაცვა სარწმუნოებისა და ქვეყნის თავისუფლებისა. პობედონოსცევს მადლობა გარდუხადა ხარარის ეპისკოპოსმა. სადილზედ დალიეს იმპერატორისა და აბისინიის ნეგუსის სადღეგრძელოები.

გაზეთი „სვეტ“-ი ამბობს, რომ ბულგარიის დეპუტაცია სამშობლოს გაემგზავრება 8 ივლისს.

**სევასტოპოლი.** 7 ივლისს აქ მოელიან ბერძენთა დედოფალს, რომელიც პეტერბურგს მიემგზავრება.

**პარიზი.** რადგანაც პარლამენტმა გაჰკიცხა „საპატიო ლეგიონის“ ორდენის საბჭოს მოქმედება, საბჭო სამსახურიდგან გადადგა.

**ბელგრადი.** სახელმწიფო ვალის კონვერსიის კანონ-პროექტი პარლამენტის კომისიამ შეიწყნარა 12 ხმის უმეტესობით 5 წინააღმდეგ. ხვალ კვირისის ამ პროექტს პარლამენტი გაარჩევს.

სტამბულოვმა დაასახელა ორი ბოროტ-მოქმედი: ტიუფექჩიევი და გალუ.

პეტერბურგის ბირჟა, 4 ივლისი.

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,40 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 211½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | —,, | —,, | 100½ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა . . | 101 | —,, | —,, |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | —,, | —,, |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — , | 101⅝ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | —,, | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | --,, | —,, |

სიახლოვეს გამო, ირლანდიელებს ადვილად შეუძლიათ შეითვისონ ინგლისელების კულტურა, მაგრამ ინგლისის უზარ-მაზარ კაპიტალთან ბრძოლა, დაგვეთანხმეთ, ირლანდიისათვის შეუძლებელია.

ოსმალეთის შესახებაც რომ ეჭვი შემოგაქვთ იანჟულის ნათქვამზედ, ამის პასუხად მე მხოლოდ ის დამრჩენია მოგახსენოთ, ბ. ფ. მახარაძე, რომ უსაბუთო და უსაფუძვლო ეჭვს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თქვენი ეჭვი მაშინ იქმნებოდა ყურადღების ღირსი, რომ ერთი რამ საბუთი მაინც წარმოგვედგინათ იანჟულის აზრის გასამტყუნებელი. რაც შეეხება იმას, ვითომც ჩემი იდეალი ოსმალური წეს-წყობილება იყოს, სცდებით. თქვენა გგონიათ, რომ, რაკი მე მსურს საქართველოში წვრილი საკუთრების დაცვა, ამიტომ უნდა ვიხდიდე იდეალად იმ საზოგადოებრივ ფორმებს, რომელნიც არიან შედეგი წვრილი საკუთრებისა. და რადგან ოსმალეთის წეს-წყობილება, სხვათა შორის, შედეგია გლეხურის წარმოებისა, რომელსაც მე ვიცავ, ოსმალეთი უნდა იყოს ჩემი იდეალი. მაგრამ, ბ. ფ. მახარაძე, შვეიცარიაშიაც ხომ გლეხური წესი იყო წარმოებისა კაი ხნიდგან; ხოლო იქაური საზოგადოებრივი ფორმები, იქ დიდის ხნიდგან არსებულნი, და ოსმალეთისა, როგორც მოგეხსენებათ, შორის-შორს არიან. მაგრამ ნუ გაიხარებთ ადრე, ბ. ფ. მახარაძე, ჩემი შორეული იდეალი არც ეხლანდელი შვეიცარია გახლავთ, თუ გნებავთ.

დასასრულ ერთს გკითხავთ, ბ. ფ. მახარაძე: მარქსი რომ ამბობს თავის „კაპიტალში“, ინდოეთი მხოლოდ მასალის მშოვნელად გადიქცა ინგლისისათვის და ინგლისი-კი ამ მასალის გადამკეთებლადო, რომ კაპიტალიზმი ერთობ ცუდს საერთაშორისო შრომის განაწილებას აარსებსო, რად გადააფუჩეჩეთ ეს ფაქტი.

(შემდეგი იქნება).

# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სიროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიციისა ნავასარდიანი.

(857—1468)

გამოვიდა და ისყიდება
«მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი»
წერილი მ. ჯანაშვილისა.
(60 გვ.. ფასი 10 კაპ.)

კაუჩუკის მალამო
კელერისა
ჭაობებში სახმარებელ წაღებისათვის.

ისყიდება ყველგან და ყველა ცნობილ ვაჭრებთან.

სრულიად არ უშვებს სისველეს; არბილებს და დიდხანს აძლებინებს ტყავს; არც ცუდი სუნი აქვს. ყველა ამ ღირსებებთან ეს მალამო სხვა ნაირ გვარ მალამოებთან შედარებით ძლიერ იაფად ღირს.

(2—21—1):

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 60 |

ურჩევენ
საპონს „მიუსკ“ მშვენიერის თვისებისაა და სასიამოვნო ხმარების დროს.
ს.პ.ბ. სატეხნიკო-ქიმიურ ლაბორატორიისა
ს.-პეტერბურგი, ალექსანდ. მოედ. 9. მოსკოვი. ვარშავა.
ისყიდება ყველგან.
(7—9—1).

L'URBAINE
УРБЭНЪ
Общество Страхованія Жизни.
Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა და უძლურდნენ და მუშაობა ვეღარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.
(40—12)

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში
(100—721—›)

Дозволено цензурою, Тифлисъ 6 го Іюля 1895 г.
სტამბა მ. [illegible]
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.